ს(ს)იპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401
განათლების ფაკულტეტი
II კორპუსი, I სართული, დეკანატი–ოთახი №15 ტელ.: 0350 27-11-76; E-mail:edu.faculty(@)tesau.edu.ges

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | **საგანთა სწავლების მეთოდიკა** |
| **ანათლების საფეხური** | მაგისტრატურა (II საფეხური) |
| **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი** | აკადემიური |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | განათლების მაგისტრი |
| **სწავლის ხანგრძლივობა** | ორი აკადემიური წელი |
| **ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა** | **120 კრედიტი** |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | სრული პ r o f ესორი ნინო მოდებაძე;<br>სრული პ r o f ესორი ნინო ნახუცრიშვილი. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები** | აღნიშნული სამაგისტრო კურსის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ბლოკის (ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია) მასწავლებლის მომზადება რომელსაც აქვს სპეციალობის საგანში ღრმა ცოდნა, დაფუძნებული კვლევასა და სწავლებაზე; ფლობს ყველა იმ კომპეტენციებს, რაც საჭიროა სკოლაში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის. აგრეთვე მაგისტრისათვის მეცნიერების საფუძვლების იმ დონეზე დაუფლება, რომელიც მას მოამზადებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. |
| **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები** | **მაგისტრს** საგანში აქვს თეორიული ღრმა და სისტემური ცოდნა; სრულად ფლობს დარგის შესაბამისი კვლევის სპეციფიკურ მეთოდებს, იცის სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები; სრულადაა დაუფლებული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებს, რასაც აქტიურად იყენებს თავის პროფესიულ საქმიანობაში. ამასთანავე, ფლობს სწავლისა და განვითარების თანამედროვე თეორიებს; იცნობს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს; შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით; ეუძლია სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო პროცესის განხორციელება; შესწევს უსაფრთხო და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების უნარი; |
| **დასაქმების სფერო** | საგანთა სწავლების მეთოდიკის სპეციალობის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურზე, პროფესიულ სასწავლებლებში საგნის მასწავლებლად და\ან გააგრძელოს კვლევითი მუშაობა |

დოქტურანტურაში.